572/2
1968
ეროვნული ბიბლიოთეკა



# დილა

№5 მაისი 1968










# სამაისო

ზარიე

მწყობრი ნაბიჯით მოვდივართ,
მოგვაქვს წითელი ალმები;
მაისი! დილავ ლამაზო,
სიმღერით მოგესალმებით!

ხავთასი

ქუჩა ავავსეთ ვარდებით,
მზე ლაჟვარდიდან გვიცინის,
გულს გვიხალისებს პატარებს
კრემლის ვარსკვლავის ციმციმი.

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა







# ჩემი უფროსი ძმა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ბაღიდან ჩემს უფროს ძმას—მიტოს მოვყავარ ხოლმე.

— დღეს მასწავლებელმა იცი, რა გვითხრა?—ვეუბნები მიტოს და მის ალისფერ ყელსახვევს ვათვალიერებ.

— რა?

— პიონერები პატარების ქომაგები არიანო!

— მართალია!—ამბობს ჩემი ძმა.

— მერე და, განა შენ მექომაგები?

— ბიჭოს!—გაუკვირდა ძმას და ცერად გადმომხედა.

— ჰო, ჰო! გუშინდელი არ დამვიწყებია!

10.682

— გუშინ ტყუოდი, დათო, ნამდვილად ტყუოდი, აბა, გაიხსენე!

— არაფერსაც არა ვტყუოდი!

— აბა, რას ერჩოდი გოჩას, ის ხომ შენზე პატარაა. თანაც, შენსავით ძმა როდი ჰყავს, რომ...

— ჯობდა, გოჩას ძმა ყოფილიყავი!—ვუთხარი მიტოს და ისევ ალისფერ ყელსახვევს დავადგი თვალი,—რომ სცოდნოდათ, თუ როგორ მექცევი, ყელსახვევს არ მოგცემდნენ.

მიტოს სახე მოეღრუბლა და არაფერი მითხრა, მე კი ენას აღარ ვაჩერებდი:

— ახლა მივალთ შინ და ეზოდან გარეთ არ გამახედებ. ეჰ, რა ბედნიერია გოჩა...

ქუჩის მოსახვევში, სწორედ გოჩაანთ ეზოს კართან, ხალხს მოეყარა თავი:

— ძალიან არის დაკბენილი?

— ხელში სცემია ის ვერანა, ისა!



— თვითონ გოჩას ბრალიც ყოფილა, თურმე ჯოხით აბრაზებდა.

— ძაღლი რა იქნა?

— აბა, რა ვიცი!—მოისმოდა აქეთ-იქიდან.

რა ვიციო? ტანზე ეკალი დამაყარა: ხომ შეიძლება, ძაღლი წინ შემოგვეფეთოს და მეც დამკბინოს. მიტოს შევხედე:

— მიტო!

— რაო?

— ამიყვანე!

სხვა დროს მიტო მეტყოდა, რაღა დროს შენი ხელში აყვანაა, ამხელა კაცი ხარო, მაგრამ ახლა უარი არ უთქვამს, ამიყვანა და გულზე მიმიკრა. მე ორივე ხელი კისერზე მოვხვიე. ასე ვიარეთ. ეზოში რომ შევედით და თავი სამშვიდობოს დავიგულე, მიტომ ძირს ჩამომსვა:

— ახლა ნუღარ გეშინია!

მე კიბესთან მივირბინე, ქეჩაზე ფეხები გულმოდგინედ გავიწმინდე და აივანზე ავედი. დედა შინ დამხვდა.

— დედიკო, დაიწი, ყურში რაღაცა უნდა გითხრა.

დედამ თავი ჩემსკენ დახარა. მე ფეხის წვერებზე ავიწიე და ყურში ჩავჩურჩულე:

— რა კარგია, ძმა რომ მყავს!

დედამ გამიღიმა და ლოყაზე მაკოცა.

ნახატი **ზურაბ მეძმარიაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# კარლ მარქსი

ბავშვებო, თქვენ ყველას გაგიგონიათ კარლ მარქსის სახელი. კარლ მარქსი 150 წლის წინათ დაიბადა გერმანიაში. იგი გერმანელი იყო, მაგრამ ყველა ერისათვის თანაბრად ზრუნავდა.

კარლ მარქსს უსაზღვროდ უყვარდა უბრალო, მშრომელი ხალხი. მას უნდოდა, მთელი ქვეყნის მუშებს და გლეხებს ბედნიერად ეცხოვრათ.

მაგრამ როგორ?

მთელი თავისი სიცოცხლე მარქსი ამაზე ფიქრობდა... იგი ყველა მშრომელს, მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მოუწოდებდა შეერთებულიყვნენ და ცხოვრების გასაუმჯობესებლად ერთად ებრძოლათ.

მარქსის აზრები გაიზიარა პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა. ჩვენ რომ ახლა ბედნიერად ვცხოვრობთ, მათ უნდა ვუმადლოდეთ.

ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურლაკები

ლიდია კონი

ნახატები **რევაზ ცუცქირიძისა**

ვალოდიას ერთი ამხანაგი ჰყავდა — ბორის ფარმაკოვსკი. იგი ვოლგის პირას ერთსართულიან პატარა სახლში ცხოვრობდა. სახლის ირგვლივ დიდი, დაბურული ბაღი იყო.



ვალოდია და ბორია ხშირად თამაშობდნენ ამ ბაღში: ვითომ ინდიელები ვართო და... ბუჩქებში ქოხებს აკეთებდნენ, ხეებზე საიდუმლო ნიშნებს აწერდნენ. ეს ნიშნები მხოლოდ მათთვის იყო გასაგები. ისინი ბებერი ცაცხვის ფუღუროში წერილებს უტოვებდნენ ერთმანეთს. ამ ბარათებს ჩვეულებრივი ასოებით კი არ წერდნენ, — ხატავდნენ, სწორედ ისე, როგორც ძველად ინდიელები აკეთებდნენ.

თამაშითა და სირბილით რომ იჯერებდნენ გულს, ბიჭები ზოგჯერ ვოლგის სანაპიროზე ჩადიოდნენ, ხან თევზაობდნენ, ხან კი მდინარის პირას გრილოში ჩამოსხდებოდნენ, საუბრობდნენ და გასცქეროდნენ მზეზე მოლაპლაპე მდინარეს, ზედ რომ ტივები, კარჭაპები და გემები დაცურავდნენ.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ბაღში მოთამაშე ბიჭებს მწვანე სანაპიროდან სევდიანი სიმღერა შემოესმათ, ტირილს რომ წააგავდა.

ვალოდიას სახე მოეღუშა:

— ბურლაკები არიან, — დინჯად თქვა მან.

— მართალი ხარ, აგერ ისინიც! — დაემოწმა ბორიაც.

მდინარის გაღმა ნაპირზე თხუთმეტიოდე გლეხი გამოჩნდა. მძიმედ დატვირთულ კარჭაპს აღმა მიათრევდნენ მდინარეზე.

ეტყობოდა, ტვირთი მძიმე იყო: ფეხები ქვიშაში ეფლობოდათ, მკერდზე თასმები უჭერდათ, ხელები დაჰბუყებოდათ. მიდიოდნენ ნელა, თითქმის მიწამდე წელში მოხრილები,

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიმღერითა და კვნესით მიდიოდნენ ალმა...

ვალოდია შებრუნდა:

— არ შემიძლია მათი ყურება!

— მერე და, რატომ ჰკიდებენ ხელს ასეთ სამუშაოს? — იკითხა ბორიამ.

— როგორ თუ რატომ? — გაოცდა ვალოდია, — ნუთუ არ იცი? მე საშამ მიამბო: სოფელში შიმშილობაა. გლეხებს არც ფული გააჩნიათ და ვერც სამუშაოს შოულობენ. ჰოდა, ქალაქში მოდიან სამუშაოს საძებნელად. მუშაობენ მტვირთავებად, ქვისმთლელებად, დურგლებად... ვინც ასეთ სამუშაოს ვერ შოულობს, რა გზა აქვს, — რა სამუშაოც არ უნდა იყოს, აღარ დაეძებს, ოღონდ ორიოდე გროში იშოვოს. მდიდრები კი ამით სარგებლობენ და გლეხებს მუქთად ქირაობენ თავიანთი კარჭაპების სათრევად.

ვალოდია გაჩუმდა და ღრმად ჩაფიქრდა.

ბურლაკებმა ჩაიარეს. მხოლოდ შორიდან მოისმოდა მათი ნაღვლიანი სიმღერა, გაჭირვებას, შიმშილს, ტკივილსა და ტანჯვას რომ გამოხატავდა.

თარგმანი **ნინო თოფჩიშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თაგუნა გახდა ავადა





ნოდარ შამანაძე

თაგუნა გახდა ავადა,
თურმე ლოგინად ჩავარდა.
ეს რომ ფისუნამ გაიგო,
წავიდა სანახავადა,
თხილი და წაბლი წაუღო,
უყვარსო საცუცნავადა.
რომ დაინახა თაგუნამ,
კინაღამ სული გავარდა,—
შენ გამიჩინე ჭირიო,
შენ გამხადეო ავადა...
ეგ შენი თხილი შენ გქონდეს,
არ მსურსო საცუცნავადა,
ეგ შენი წაბლიც შენ გქონდეს,
აღარ მიღირსო ჩალადა.
ფისო აკნავლდა, ატირდა,
დარდით ავარდა, დავარდა,
ახლაც სოროსთან ქვითინებს,
ცრემლი ჩამოსდის ღვარადა.

ნახატი თენგიზ სამსონაძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა




# სიზმარი ავტობუსი

გურამ ხარაიძე

ნახატები ედ. ამბოკაძისა

— არიქა, უშველეთ, დაეძინა მაგ ზარმაცს!—აწრიალდა ჭრელი ჩიტი.

— გავაღვიძოთ ეს ძილისგუდა!—წამოიძახა მაიმუნმა და აქლემს ზურგზე შეახტა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!—აქლემი ისევ არხეინად ხვრინავდა.

— აბა, გაიწით, მე ვიცი მაგის წამალი!—დინჯად თქვა სპილომ და ხორთუმი დაიგრძელა.

ყველამ სული განაბა. მაიმუნმა კი... თუ იქნება სეირი, ახლა იქნებაო,—სიხარულით აქლემის ზურგზე ერთი დაბუქნა და კუზიდან კუზზე გადახტ-გადმოხტა. მერე კუზებსშუა კაი მხედარივით გადაჯდა და მანჭვაგრეხით უყურებდა, თუ რას იზამდა სპილო.

სპილომ ზედ ყურზე მიადო ხორთუმი აქლემს და ისეთი ჩაჰყვირა, აქლემს გული გადმოუტრიალდა: თვალები გადმოკარკლა, უაზროდ იყურებოდა, თავი სიზმარში ეგონა.

— ბოდიშს ვიხდით, რომ გაგაღვიძეთ!—მოიბოდიშა ჭრელმა ჩიტმა.

— ბოდიშს ვიხდი, შეგაშინეთ!—მოიბოდიშა სპილომაც.

— მეც ბოდიშს ვიხდი, მეგობრებო, ჩამეძინა... მგონი, რაღაცას ვყვებოდი.

— ყვებოდი, ყვებოდი! — გაისმა აქეთიქიდან.

აქლემი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მაგრამ ეტყობოდა, ვერ მოიგონა, სად შეწყვიტა ამბის მოყოლა და დაბნეულად იკითხა:

— სად გავჩერდი, თუ გახსოვთ?

— ერთკუზიანები და ორკუზიანები ვართო!—ზემოდან ჩაჰყვირა მაიმუნმა.

— ჰო, სწორი მითქვამს... ჩვენი მოდგმა ზოგი ერთკუზიანია, ზოგი—ორკუზიანი. ჩვენ...

— აგაშენა ღმერთმა, საჯდომად ორი კუზი უფრო მოხერხებული ყოფილა!—ისევ გაიჭყანა კუზებსშუა მხედარივით გადამჯდარი მაიმუნი.

— გვადროვე და მოუსმინე. მგონი, ძალიან მოგეწონა მანდ ჯდომა!—გაწყრა ჭრელი ჩიტი.

— არა უშავს, იჯდეს... ჩემი დღე და მოსწრება ოც მაგდენ ტვირთს მაინც დავათრევ,—ადამიანებს ვემსახურებით. ისეთ გზებზე დავდივართ, ვერც ერთი ცხენი და სახედარი რომ ვერ გაივლის. აბა, რომელი ცხოველი შესძლებს უდაბნოს სილაში ხეტიალს! ცხელი ქვეყნების ბინადარნი გახლავართ და ამას შეგუებულნი ვართ. იქ, ჩვენს მხარეში, თოვლი არასოდეს არ მოდის. საითაც არ უნდა გაიხედო, გავარვარებული სილაა. დღისით ისე ცხელა, მზისაგან გახურებულ ქვებზე ერბო-კვერცხი მოიწვება. არც ერთი მცენარე არ ხარობს... ასობით კილომეტრი უნდა გაიარო, სულ პატარა



წყარო რომ იპოვო. აი, ასეთ გზებზე დავყავართ ადამიანებს ტვირთაკიდებულები.

— სწორია, მართალს ამბობს!—წამოიძახა ჟირაფმა.

— ჰოდა, ეს კუზი, ჩემო კარგებო, მარტო საჯდომად და ტვირთის სათრევად კი არა გვაქვს, როგორც მაიმუნს ჰგონია. კუზით საჭმელ-სასმელს ვატარებთ და, როგორც გითხარით, ამ გრძელსა და მომქანცველ გზებზე ვიზოგავთ ხოლმე. კუზი თუ სავსეა, რამდენიმე დღე თავი ქუდში გვაქვს,— არც საჭმელი გვინდა და არც სასმელი.

— აი, მესმის, კუზი კი არა, ეგ ყოფილა, რაც ყოფილა!—წამოიძახა კენგურუმ.

— ასეთი კუზი რომ მქონდეს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!—ყურები ააპანტურა სპილომ.

მაიმუნი ძირს ჩამოხტა, გაიქყანა, იღლია მოიქექა და კენგურუს გვერდით ჩაცუცქდა.

— საჭმელზე ჩამოვარდა ლაპარაკი,— განაგრძო აქლემმა,—როგორც გითხარით, სანთლით რომ ეძებოთ, უდაბნოში საჭმელს ვერ იპოვით. ამიტომაც სიამოვნებით გიახლებით ყველაფერს — გამხმარ ბალახებს, კალათებს, ცოცხებს, ჭილის ქუდებსა და ჭილობებს...

— ხი-ხი-ხი! ეს ყოფილა რაც ყოფილა!— აბუქნავდა მაიმუნი.

— უფრო მეტსაც გეტყვით,—მაიმუნს გადახედა აქლემმა,—ჩემი სამშობლოს მახლობელ სოფლებში ადამიანები სახლებს მცენარის წვრილი ღეროებისაგან წნავენ და ნეშოთი და ჩალით ხურავენ. ერთი ასეთი სახლი მოგვაგდებინა ხელში და, გაგიხარია—ლაზათიანად დავნაყრდებით: თუ ხელი არავინ შეგვიშალა, ერთი აქლემი ოთხიოდე საათში მთელ სახლს წირვას გამოუყვანს.

— სახლის შეჭმა კი შეგძლებიათ, მაგრამ ეს აღარ მომეწონა, მხდალები ყოფილხართ. წეღან რომ სპილომ...—თვალები ეშმაკურად მოჭუტა კენგურუმ, მაგრამ აღარ დაამთავრა.

— რაც მართალია, მართალია, ტყუილს ვერ ვიტყვი, არც ტრაბახს მოვყვები: ასეთი ვარ და ისეთი-მეთქი. ნამდვილად მხდალები





ვართ. ჩირგვიდან გამომხტარმა ბაჭიამ შეიძლება ისე შემაშინოს, რომ... რას იზამ! ჩვენი კი არავის ეშინია. ხშირად ბავშვები მახელებენ. რომ გავბრაზდები, კი არ უნდა ვთქვა, მაგრამ—ვიფურთხები ხოლმე. ეს არის და ეს...

— ეგ კი ვერაა კარგი!—თქვა კენგურუმ.

— მაგას თუ გადაეჩვევი, აი, მაშინ გეთქმის, აქლემი ვარო!—არ ისვენებდა მაიმუნი.

— დააცადეთ ლაპარაკი,—ჩაერია ჭრელი ჩიტი,—თუ ასეა, მაშინ არც ბავშვებმა უნდა გააბრაზონ.

— სწორია, სწორი!—ერთად წამოიძახეს მგზავრებმა. ვიდრე მგზავრები ერთმანეთში დაობდნენ, აქლემმა, არ დამეძინოსო, ცოხნა დაიწყო. ლუკმა გადაყლაპა, მგზავრებიც დაწყნარდნენ და ისევ განაგრძო:

— ბოდიშს ვიხდი, დაწოლილი რომ ვლაპარაკობ. რომ ავდგე, უნდა ვიყვირო, ასეთი ჩვეულება მაქვს: ადგომისა და დაწოლის წინ ვყვირი ხოლმე. წეღან, დაწოლისას, ძლივს შევიკავე თავი.

— აბა, ერთი, ადექი და იყვირე, შენი ყვირილიც გაგვაგონე!—ისევ გაიხუმრა მაიმუნმა.

— საშინელი ყვირილი ვიცი. გაგიგონიათ ვირის ყროყინი? ვეფხვის ღრიალი? კატის კნავილი? თეფშების მტვრევის ხმა? აი, ყველა ეს ხმა რომ ერთად შეკრიბოთ, ჩემი ხმა ისეთია. ესეც არ იყოს, ზოოპარკიდან გამოპარულები ვართ და... ყვირილი...

— სწორია!

— თუ გიყვარდე, არ იყვირო!

— არ ადგე, არ დაგვღუპო!—აჩურჩულდნენ მგზავრები.

— არც ისეთი ზანტები ვართ, როგორც ჰგონიათ. დავიბადებით თუ არა, მაშინვე ვიწყებთ სიარულს. სირბილიც შეგვიძლია: 150 კილომეტრს ისე გავირბენთ, უკან არ მოვიხედავთ... ორი... ორი ჯიშისა ვართ—ერთ... ერთკუზიანები და ორ...—აქლემს ამდენ ლაპარაკში ძილი მოერია, დაამთქნარა, სიტყვა ველარ დაამთავრა, და, ხვრინვა ამოუშვა.

(გაგრძელება იქნება)

# ანბანის თავგადასავალი

მიხეილ ქვლივიძე

ა-ნი, ბ-ანი, გ-ანი, დ-ონი,
ე-ნი, ვ-ინი, ზ-ენი, თ-ანი...
ამ ანბანის გამომგონი,
ვინც ასოთა ჩუქურთმანი
გამოთალა, გამოჩარხა
და ჩაუდგა სული თვისი,—
ჩვენი ერი, ჩვენი ხალხი
უკვდავების არის ღირსი!..

ყველა ასოს საკუთარი
გააჩნია შნო და ეშხი:
სხვაა — ღ-ანი, სხვაა — ყ-არი...
ნუ გვერევა ერთმანეთში:
კ-ანი, ლ-ასი, მ-ანი, ნ-არი,
ო-ნი, პ-არი, ჟ-ანი, რ-აე...
გაგვიგრძელდა საუბარი,
მოგიყვებით ამბავს ბარემ:





* * *

იყვნენ ორნი ძმანი:
პირველს ერქვა ა-ნი,
მეორესაც—ა-ნი.
მიდიოდნენ მხარდამხარ...
უცებ, ქედის გადაღმა,
წინ დაუხვდათ მდინარე,
აფთარივით მძვინვარე.

ეუბნება ა-ნი:
— მომისმინე, ა-ნო,
მხარზე შემაჯექი,
წყალში გაგიყვანო!

გამოქანდა ა-ნი,
ზედ შეახტა ა-ნსა...
უცებ გაქრნენ ძმანი:
არც პირველი ა-ნი,
არც მეორე ა-ნი,—
აღარ ჩანან არსად...
ვხედავთ მხოლოდ ჭ-არსა!



გზა განაგრძო ჭ-არმა.
თან დიდგულობს ძალზე
უცებ, ხედავს: ისევ
ა-ნი დახვდა გზაზე:

— ა-ნო, შეხტი მხარზე
— ასე იყოს, დაე!
უცბად ჭ-არის ნაცვლად
გზა განაგრძო ჰ-აემ!

* * *

ანი-ბანი! ანი-ბანი!
განი! განი! განი! განი!..
გ-ანმა უცებ გაიტაცა
ბურთი კარში გასატანი...
დარტყმა!..
ი-ნმა ისკუპა და
ბურთს ხელები წაატანა,
დაიჭირა ბურთი, მაგრამ...
გადაიქცა ი-ნი—თ-ანად!

ახლა ვ-ინის ჯერი დადგა:
ბურთს უბიძგა თავი მაგრად.

გამოვარდა მეკარე და
უკან დარჩა ღია კარი...
მაგრამ ვ-ინის ნაცვლად დახვდა
წინ მეკარეს ასო ფ-არი!

* * *

მინდვრის პაწაწინა
ყვავილს ი-ნი ერქვა,
აშინებდა, საწყალს—
წვიმა, თოვლი, სეტყვა...

შეეკედლა ი-ნი
ყელმოღერილ ღ-ანსა.
გაჰქრა ი-ინი!
ღ-ანიც
აღარა ჩანს არსად...

მათ მაგიერ, მინდვრად,
მოხდენილი, ნაზი,
ცალფოთოლა ყლორტზე
ყელყელაობს ლ-ასი!

* * *

ი-ინმა უთხრა ძ-ილსა:
ავად გახდა ქ-ანი,
გვმართებს მასთან მისვლა...
დათქვეს პაემანი.

ი-ნს ელოდა ქ-ანი,
ძ-ილს ელოდა ქ-ანი,
მაგრამ მასთან სტუმრად
გამოცხადდა მ-ანი!

ნახატები ზურაბ მეძმარიაშვილისა
და ზურაბ ფორჩხიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა და გემრიელი სადილის მოლოდინში პირი ნერწყვით ევსებოდა. ბატების დარაჯს კი უკვე ძილი მორეოდა, ცალი ფეხი აეკეცა, ნისკარტი მასაც ფრთის ქვეშ ამოედო და ტკბილად თვლემდა.

ბოლოქანქალა ისარივით მოწყდა კლდის ქიმს და თავგანწირული სტვენით ბატებისაკენ გაფრინდა. ამ სტვენაზე გაოგნებული მელია მიწას გაეკრა და ბალახებში მთლად ჩაიმალა. აბა, რა იცოდა, თუ ეს ცეროდენა ჩიტუნა გემრიელ სადილს დააკარგვინებდა.







ბოლოქანქალამ პირდაპირ ბატების თავზე მორთო სტვენა, ერთი ამბავი დაატრიალა. ბატებმა გამოიღვიძეს. საფრთხის მოახლოება იგრძნეს, ქვიშიან ნაპირზე გაბაჯბაჯდნენ და წყალს მისცეს თავი.

ბალახებში ჩაცუცქულ მელიას ბრაზისაგან პირი დაელო, ენა გადმოეგდო და თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა.

ბოლოქანქალა ისევ კლდის ქიმზე შემოჯდა და არხეინად ააქანქალა თავისი გრძელი ბოლო.

ნახატი **იური ქლიბაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქართული ხალხური ზღაპარი




შეადგინა ქ. გოგიაშვილმა

10.689



უნგრული საბავშვო ჟურნალიდან



## ცუგა

ნუნუ კარესელიძე

— ცუგა, ცუგა!..
— ჰამ, ჰამ, ჰამ!
— სად იძინებ ამაღამ?
— ღამით მე არ ვიძინებ,
სითბოა თუ სიცივე;
სანამ ტყეში მგელია,
ძილი არ მიწერია.



გიჭუნა ხალისა და სპილო მუხლისა ნახატი ა. აბრაჰამისა (ინგლისი)






ბულგარული საბავშვო ჟურნალიდან

# თხა და თიკანი

**ვახტანგ ძნელაძე**

— დედი, მომე ჯიქანი! —
აკიკინდა თიკანი.
— აჰა, შენ გენაცვალე,
შენია და დაცალე.

დაიცალა ჯიქანი,
გაიბერა თიკანი.

# [illegible]

**ჯანსუღ ნიქაბაძე**

ესო—მესო,
ვაი, ჩემს შავ დღესო.
საქათმესთან უთენია
გამომიჭირესო.
ჩემი ხვეწნა-დაპირება
არ შეისმინესო.
თავი კომბლით გამიჩეჩქვეს,
ტყავი გამაძვრესო.
ჩემი ტყავი აივანზე
კუდით დაჰკიდესო.
მერე ქალაქს წაამბრძანეს,
ხელად გაჰყიდესო,
მისი ფულით თამუნიას
კაბა უყიდესო.



იუგოსლავური საბავშვო ჟურნალიდან

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი.
სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიაშვილი, ჯემალ ლოლუა, მაყვალა მრევლიშვილი, ჯემალ ნინუა.
ილიკო ქემერტელიძე, (პ/მგ. მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), რეზო ჭეიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდაზე ნახატი ზურაბ მექმარიაშვილისა — ტექრედაქტორი გიორგი როინიშვილი

გამოცემის 41-ე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. გამომც. შეკვ. № 631. ანაწყობის ზომა $9^1/_2 \times 13$. ტირაჟი 105.800. ქაღ. ზომა $60 \times 90^1/_8$ ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III-68 წ.
ჟურნალი დაბეჭდილია საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატში ლენინის ქ. № 14. „ДИЛА" № 5 на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91
რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91. ტელ. 95-37-38, 95-18-09. ფასი 20 კაპ.

0 88/108
76055
ეროვნული ბიბლიოთეკა



















კრემლი—ნახატი მამუკა არეშიძისა, 9 წლის, თბილისი.

სამი მუშკეტერი—ნახატი გია მირზაშვილისა, 6 წლის, თბილისი.

წითელქუდა—ნახატი შალიკო ჯაფარიძისა, 6 წლის, თბილისი.

კოსმონავტი—ნახატი მერაბ ბინიაშვილისა, 4 წლის, თბილისი.

ექსკურსია ხიდნალში—ნახატი არტურ დავითიანისა, 12 წლის, თბილისი.

ცხენი—ნახატი ხოხო მეუნარგიასი, 10 წლის, თბილისი.

მოტოკროსი—ნახატი კოტე ცუცქირიძისა, 6 წლის, თბილისი.

ისინდი—ნახატი პაატა პაატაშვილისა, 10 წლის, თბილისი.

სათამაშოები—ნახატი ნანა ვაშაძისა, 5 წლის, წყალტუბო.